# ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

## სტრატეგიის ანოტაცია

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს კოლეჯი ,,მოდუსის" ინტერნაციონალიზაციის 3-წლიან სტრატეგიას და პირველი წლის სამოქმედო გეგმას. მისი მთავარი მიზანია კოლეჯის საერთაშორისო პროფილის გაძლიერება, გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაცია და სტუდენტებისთვის მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი განათლების უზრუნველყოფა. ამასთანავე, სტრატეგია მიზნად ისახავს ქვეყნის მასშტაბით საგანმანათლებლო სექტორის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას გამოცდილების გაზიარების გზით.

სტრატეგია მოიცავს შვიდ ძირითად მიმართულებას:

1. უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის დამყარება
2. საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირების გაძლიერება
3. გაცვლითი პროგრამების დანერგვა სტუდენტებისთვის
4. პერსონალის საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობის ზრდა
5. საერთაშორისო დაფინანსების წყაროების მოძიება
6. საგრანტო პროექტების მართვის უნარების განვითარება
7. გამოცდილების გაზიარება ქვეყანაში მოქმედი სხვა კოლეჯებისთვის

თითოეული მიმართულება მოიცავს კონკრეტულ ამოცანებსა და აქტივობებს, რომლებიც თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს სამი წლის განმავლობაში. მსგავსი კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს კოლეჯის ყოვლისმომცველ ტრანსფორმაციას და მის მზაობას თანამედროვე გამოწვევებისთვის.

სტრატეგიის ამოქმედება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კოლეჯის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას. იგი ხელს შეუწყობს სტუდენტების ფართე კომპეტენციების განვითარებას, გააფართოებს მათ საგანმანათლებლო და კარიერულ შესაძლებლობებს. უცხო ენების გაძლიერებული სწავლება და გაცვლითი პროგრამები სტუდენტებს მისცემს საშუალებას გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანი საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

პერსონალისთვის შეიქმნება პროფესიული ზრდის ახალი პერსპექტივები საერთაშორისო ტრენინგებსა და კონფერენციებში მონაწილეობის გზით. ეს არა მხოლოდ აამაღლებს მათ კვალიფიკაციას, არამედ ხელს შეუწყობს ინოვაციური სწავლების მეთოდების დანერგვას კოლეჯში.

კოლეჯი მიიღებს წვდომას საერთაშორისო რესურსებზე, გამოცდილებასა და დაფინანსებაზე, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებას და ინოვაციური პრაქტიკების დანერგვას. საერთაშორისო პარტნიორობები და პროექტები გაზრდის კოლეჯის ცნობადობას და რეპუტაციას გლობალურ დონეზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოცდილების გაზიარების კომპონენტი, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში მოქმედი სხვა კოლეჯების დახმარებას ინტერნაციონალიზაციის პროცესში. ეს ინიციატივა არა მხოლოდ გააძლიერებს კოლეჯის ლიდერულ პოზიციას, არამედ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მთელი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციას.

შედეგად, აღნიშნული სტრატეგია უზრუნველყოფს კოლეჯის ტრანსფორმაციას საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც მზად იქნება 21-ე საუკუნის გამოწვევებისთვის და

შექმნის მდგრად საფუძველს მომავალი განვითარებისთვის. ამავდროულად, იგი წვლილს შეიტანს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის საერთო განვითარებაში, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში დადებითად აისახება როგორც სტუდენტებზე, ისე მთლიანად საზოგადოებაზე.

| სტრატეგიული მიმართულება | წელი 1 | წელი 2 | წელი 3 |
|---|---|---|---|
| 1. უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის დამყარება | • თანამშრომლობის სფეროების განსაზღვრა<br>• პოტენციური პარტნიორების იდენტიფიცირება<br>• მინიმუმ 5 პოტენციურ პარტნიორთან კომუნიკაცია<br>• მინიმუმ 2 პარტნიორობის შეთანხმება | • თანამშრომლობის სფეროების რევიზია<br>• მინიმუმ 1 ახალი პარტნიორის დამატება<br>• გამოცდილების გაზიარების მიზნი ონლაინ სესიების ორგანიზება | • პარტნიორების რაოდენობის გაზრდა 5-მდე<br>• მინიმუმ 2 ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება<br>• პარტნიორობის ეფექტურობის შეფასება |
| 2. საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირების გაძლიერება | • რელევანტური ორგანიზაციების რუკის შექმნა<br>• მინიმუმ 2 ორგანიზაციასთან თანამშრომლობის დაწყება<br>• საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა<br>• VET ქსელში გაერთიანება | • მინიმუმ 1 ახალი პარტნიორი ორგანიზაციის დამატება<br>• ერთობლივი ვორკშოპის ორგანიზება | • მინიმუმ 1 მასშტაბური პროექტის განხორციელება (მეტი კონკრეტიკა) |
| 3. გაცვლითი პროგრამების დანერგვა სტუდენტებისთვის | • პროგრამის კონცეფციის შემუშავება<br>• მინიმუმ 1 გაცვლითი პროგრამის დაგეგმვა და განხორციელება<br>• მართვის გუნდის ფორმირება | • ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება<br>• მინიმუმ 2 პროგრამის განხორციელება ( თითოში 5 სტუდენტი) | • პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობის გაორმაგება<br>• პროგრამების გეოგრაფიული არეალის გაფართოება<br>• შედეგების ანალიზი, განზოგადება და რეპლიკაცია |
| 4. პერსონალის საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობა | • ხელშემწყობი მეაქნიზმების შემუშავება და ამოქმედება<br>• გამოცდილების გაზიარების პლატფორმის შექმნა<br>• 1 საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება | • შედეგების ინტეგრირება სასწავლო პროცესში<br>• აქტივობებში ჩართული პერსონალის 20% ით ზრდა<br>• 1 საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება | • 1 საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება<br>• კოლეჯის საქმიანობაზე პროცესის გავლენის შეფასება |
| 5. საერთაშორისო დაფინანსების წყაროების მოძიება | • პოტენციური წყაროების კვლევა<br>• სტრატეგიის შემუშავება | • სულ მცირე 1 საერთაშორისო დაფინანსების მოპოვებასაერთაშორისო ფონდების დივერსიფიკაციის სტრატეგია | • საერთაშორისო დაფინანსების წილის გაზრდა მინიმუმ 5%-მდე |

| სტრატეგიული მიმართულება | წელი 1 | წელი 2 | წელი 3 |
|---|---|---|---|
| | • სულ 2 საგრანტო განაცხადის წარდგენა | | • გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება<br>• ეფექტურობის ანალიზი |
| 6. საგრანტო განაცხადების მომზადებისა და მართვის უნარების განვითარება | • ტრენინგ პროგრამის შემუშავება და ჩატარება<br>• პერსონალის 5% ის გადამზადება<br>• პროექტების მართვის შიდა გაიდლაინების შემუშავება | • სულ მცირე 3 საგრანტო განაცხადის მომზადება<br>• შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის დანერგვა | • წარმატებული განაცხადების 50%-ით გაზრდა<br>• შედეგების ინტეგრირება<br>• საუკეთესო პრაქტიკების დოკუმენტირება და პოპულარიაზაცია |
| 7. გამოცდილების გაზიარება ქვეყანაში მოქმედი სხვა კოლეჯებისთვის | • გაზიარების სტრატეგიის შემუშავება<br>• სულ მცირე 3 ადგილობრივ კოლეჯთან პარტნიორობა<br>• ყოველკვარტალური ონლაინ სემინარების დაწყება | • საუკეთესო პრაქტიკების სახელმძღვანელოს შექმნა<br>• 1 კონფერენციის ორგანიზება წელიწადში<br>• მენტორობის პროგრამის დაწყება 2 კოლეჯისთვის | • 2 ერთობლივი საერთაშორისო პროექტის ინიცირება<br>• ონლაინ პლატფორმის შექმნა |

პირველი წლის აქტივობები

| სტრატეგიული მიმართულება | ამოცანა | აქტივობა | ვადა | პასუხისმგებელი პირი | ინდიკატორი | ბიუჯეტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის დამყარება | 1.1 თანამშრომლობის სფეროების განსაზღვრა | 1.1.1 შიდა გამოკითხვის ჩატარება პერსონალსა და სტუდენტებში | **იანვაი** | ხარისხის მართვის მენეჯერი | **ჩატარებული გამოკითხვა, ანალიზის დოკუმენტი** | |
| | | 1.1.2 SWOT ანალიზის ჩატარება კოლეჯის საერთაშორისო პოტენციალის შესაფასებლად | **თებერვალი** | | **SWOT ანალიზის დოკუმენტი** | |
| | | 1.1.3 პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა და დოკუმენტირება | **მარტი** | დირექტორი | **პრიორიტეტული სფეროების დოკუმენტი** | |
| | 1.2 პოტენციური პარტნიორების იდენტიფიცირებ | 1.2.1 პროფესიული განათლების საერთაშორისო ფორუმების და რეიტინგების შესწავლა | **მარტი - აპრილი** | საერთაშორისო/ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | **კვლევის ანგარიში** | |
| | | 1.2.2 პოტენციური პარტნიორების მონაცემთა ბაზის შექმნა | **მაისი** | საერთაშორისო/ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | **შექმნილი მონაცემთა ბაზა (მინ. 20 პოტენციური პარტნიორი)** | |
| | 1.3 მინიმუმ 5 პოტენციურ პარტნიორთან კომუნიკაცია | 1.3.1 პერსონალიზებული საინფორმაციო პაკეტის მომზადება | **მაისი** | საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი | **მომზადებული საინფორმაციო პაკეტი** | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1.3.2 წერილების გაგზავნა და ონლაინ კომუნიკაცია | **ივნის-ივლისი** | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | **გაგზავნილი წერილები (მინ. 5), ჩატარებული ონლაინ კომუნიკაცია** | |
| | | 1.3.3 ონლაინ საპრეზენტაციო შეხვედრების ორგანიზება | **ივლისი** | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | **ჩატარებული შეხვედრები (მინ. 3)** | |
| | 1.4 მინიმუმ 2 პარტნიორობის შეთანხმების მომზადება | 1.4.1.თანამშრომლობის პირობების დეტალური განხილვა | **აგვისტო** | დირექტორი საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | **შეხვედრების ოქმები, განხილული პირობების დოკუმენტი** | |
| | | 1.4.2 იურიდიული დოკუმენტაციის მომზადება და შეთანხმება | **სექტემბერი** | იურისტი | **მომზადებული მემორანდუმები (მინ. 2)** | |
| 2. საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირების გაძლიერება | 2.1.რელევანტური ორგანიზაციების რუკის შექმნა | 2.1.1 საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ანალიზი | ოქტომბერი-ნოემბერი | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | შექმნილი მონაცემთა ბაზა მინიმუმ 20 ორგანიზაციის შესახებ | |
| | | 2.1.2 ორგანიზაციების პრიორიტეტიზაცია კოლეჯის მიზნებთან შესაბამისობის მიხედვით | დეკემბერი | დირექტორი საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | პრიორიტეტული ორგანიზაციების სია (მინიმუმ 10) | |
| | 2.2 მინიმუმ 2 ორგანიზაციასთან თანამშრომლობის დაწყება | 2.2.1 პოტენციურ პარტნიორ ორგანიზაციებთან კომუნიკაციის დამყარება | თებერვალი-მარტი | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | გაგზავნილი წერილები და ჩატარებული ონლაინ შეხვედრები (მინიმუმ 5) | |
| | | 2.2.2 თანამშრომლობის სფეროების იდენტიფიცირება და | აპრილი-მაისი | დირექტორი | შემუშავებული თანამშრომლობის გეგმები (მინიმუმ 2) | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სამოქმედო გეგმის შემუშავება | | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | | |
| | | 2.2.3 მემორანდუმების გაფორმება | ივნისი-ივლისი | დირექტორი | გაფორმებული მემორანდუმები (მინიმუმ 2) | |
| | 2.3 საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა | 2.3.1 რელევანტური საერთაშორისო ღონისძიებების კალენდრის შედგენა | ნოემბერი | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | შედგენილი კალენდარი მინიმუმ 10 ღონისძიებით | |
| | | 2.3.2 მონაწილეობის გეგმის შემუშავება და ბიუჯეტირება | დეკემბერი | დირექტორი, ფინანსური მენეჯერი | დამტკიცებული გეგმა და ბიუჯეტი | |
| | | 2.3.3 ღონისძიებებში მონაწილეობა და შედეგების პრეზენტაცია | იანვარი-სექტემბერი | დირექტორი, მასწავლებლები | მონაწილეობა მინიმუმ 3 ღონისძიებაში, ჩატარებული პრეზენტაციები | |
| | 2.4 VET ქსელში გაერთიანება | 2.4.1 VET ქსელის წევრობის მოთხოვნების ანალიზი და შესაბამისობის შეფასება | თებერვალი | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | შესრულებული ანალიზი და შეფასების დოკუმენტი | |
| | | 2.4.2 საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და განაცხადის შევსება | მარტი-აპრილი | დირექტორი საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | მომზადებული და გაგზავნილი განაცხადი | |
| | | 2.4.3 VET ქსელთან კომუნიკაცია და გაწევრიანების | მაისი-სექტემბერი | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | გაწევრიანების სტატუსის მიღება | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | პროცესის მონიტორინგი | | | | |
| 3. გაცვლითი პროგრამების დანერგვა სტუდენტებისთვის | 3.1 პროგრამის კონცეფციის შემუშავება | 3.1.1 საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების კვლევა და ანალიზი | ოქტომბერი-ნოემბერი | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | შექმნილი ანგარიში მინიმუმ 3 წარმატებული გაცვლითი პროგრამის მოდელის შესახებ | |
| | | 3.1.2 კოლეჯის საჭიროებებისა და რესურსების შეფასება | დეკემბერი | დირექტორი, ხარისხის მართვის  მენეჯერი | შეფასების დოკუმენტი კოლეჯის მზაობის შესახებ | |
| | | 3.1.3 კონცეფციის დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება | იანვარი-თებერვალი | დირექტორი საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | დამტკიცებული კონცეფციის დოკუმენტი | |
| | 3.2 მინიმუმ 1 გაცვლითი პროგრამის დაგეგმვა და განხორციელება | 3.2.1 პოტენციური პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების იდენტიფიცირება და კომუნიკაცია | მარტი-აპრილი | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | კომუნიკაცია მინიმუმ 5 პოტენციურ პარტნიორთან, შერჩეული 1 პარტნიორი | |
| | | 3.2.2 გაცვლითი პროგრამის დეტალური გეგმის შემუშავება | მაისი-ივნისი | დირექტორი საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | შემუშავებული და დამტკიცებული გაცვლითი პროგრამის გეგმა | |
| | | 3.2.3  სტუდენტების შერჩევა და მომზადება | ივლისი-აგვისტო | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი მასწავლებლები | შერჩეული და მომზადებული მინიმუმ 5 სტუდენტი | |
| | | 3.2.4 გაცვლითი პროგრამის განხორციელება და მონიტორინგი | სექტემბერი | დირექტორი საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | განხორციელებული გაცვლითი პროგრამა, მონიტორინგის ანგარიში | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| | 3.3 მართვის გუნდის ფორმირება | 3.3.1 მართვის გუნდის წევრების როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა | ოქტომბერი | დირექტორი | შემუშავებული როლებისა და პასუხისმგებლობების დოკუმენტი | |
| | | 3.3.2 შიდა და გარე კანდიდატების იდენტიფიცირება და შერჩევა | ნოემბერი-დეკემბერი | დირექტორი ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი | შერჩეული მართვის გუნდის წევრები (მინიმუმ 3) | |
| 4. პერსონალის საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობა | 4.1 ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება | 4.1.1 პერსონალის საჭიროებების კვლევა საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობის კუთხით | ოქტომბერი-ნოემბერი | ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი | ჩატარებული კვლევა, ანალიზის დოკუმენტი | |
| | | 4.1.2 ელშემწყობი მექანიზმების (ფინანსური, ადმინისტრაციული) შემუშავება | დეკემბერი-იანვარი | დირექტორი, ფინანსური მენეჯერი | შემუშავებული მექანიზმების დოკუმენტი | |
| | | 4.1.3 ხელშემწყობი მექანიზმების დამტკიცება და პერსონალისთვის გაცნობა | თებერვალი | დირექტორი ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი | ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრის მასალები | |
| | 4.2 პროგეამის მონაწილეებს შორის გამოცდილების გაზიარების პლატფორმის შექმნა | 4.2.1 რეგულარული "გამოცდილების გაზიარების" შეხვედრების დაგეგმვა და ორგანიზება | მარტი | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | შემუშავებული შეხვედრების გეგმა-გრაფიკი (მინიმუმ კვარტალში ერთხელ) | |
| | | 4.2.2 თემატური სამუშაო ჯგუფების | აპრილი-მაისი | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | შექმნილი მინიმუმ 3 სამუშაო ჯგუფი | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ფორმირება პროგრამის მონაწილეებისგან | | | სხვადასხვა თემატიკით | |
| | | 4.3.1 კონფერენციის თემატიკის და ფორმატის განსაზღვრა | ოქტომბერი-ნოემბერი | დირექტორი საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | განსაზღვრული თემატიკა და ფორმატი | |
| | 4.3.1 საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება | 4.3.2 საორგანიზაციო კომიტეტის შექმნა და სამოქმედო გეგმის შემუშავება | დეკემბერი-იანვარი | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | შექმნილი კომიტეტი, შემუშავებული გეგმა | |
| | | 4.3.3 მონაწილეთა მოწვევა და რეგისტრაციის პროცესის ორგანიზება | თებერვალი-აპრილი | საორგანიზაციო კომიტეტი | მოწვეული მომხსენებლები, რეგისტრაციის პროცესი | |
| | | 4.3.4 კონფერენციის ჩატარება და შედეგების შეჯამება | მაისი-ივნისი | დირექტორი საორგანიზაციო კომიტეტი, | ჩატარებული კონფერენცია, შედეგების ანგარიში | |
| 5. საერთაშორისო დაფინანსების წყაროების მოძიება | 5.1. პოტენციური წყაროების კვლევა | 5.1.1 საერთაშორისო დონორების მონაცემთა ბაზის შექმნა | ოქტომბერი-ნოემბერი | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | შექმნილი მონაცემთა ბაზა მინიმუმ 20 პოტენციური დონორით | |
| | | 5.1.2 დონორების პრიორიტეტების და მოთხოვნების ანალიზი | ნოემბერი-დეკემბერი | დირექტორი საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | ანალიზის დოკუმენტი მინიმუმ 10 დონორისთვის | |
| | | 5. 1.3 კოლეჯის პროფილთან შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირება | დეკემბერი-იანვარი | დირექტორი საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | შერჩეული მინიმუმ 5 პოტენციური დონორი | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 5.2. სტრატეგიის შემუშავება | 5.2.1 დონორებთან კომუნიკაციის გეგმის შემუშავება | თებერვალი-მარტი | საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი | შემუშავებული კომუნიკაციის გეგმა | |
| | | 5. 2.2 საგრანტო განაცხადების მომზადების სამოქმედო გეგმის შედგენა | მარტი-აპრილი | სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტი სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | შედგენილი სამოქმედო გეგმა | |
| | 5.3. საგრანტო განაცხადების წარდგენა | 5.3.1 პირველი საგრანტო განაცხადის მომზადება და წარდგენა | აპრილი-მაისი | სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტი სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | წარდგენილი საგრანტო განაცხადი | |
| | | 5.3.2 მეორე საგრანტო განაცხადის მომზადება და წარდგენა | მაისი-ივნისი | სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტი სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | წარდგენილი საგრანტო განაცხადი | |
| | | 5.3.3 წარდგენილი განაცხადების მონიტორინგი და შეფასება | ივნისი-სექტემბერი | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | მონიტორინგის ანგარიში | |
| 6. საგრანტო განაცხადების მომზადებისა და | 6.1. ტრენინგ პროგრამის | 6.1.1 საჭიროებების ანალიზი და ტრენინგის თემატიკის განსაზღვრა | ოქტომბერი-ნოემბერი | ხარისხის მენეჯერი | ჩატარებული კვლევა და შედგენილი ანგარიში | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მართვის უნარების განვითარება | შემუშავება და ჩატარება | 6.1.2 ტრენინგ მოდულების შემუშავება | ნოემბერი-დეკემბერი | მოწვეული ტრენერი/ექსპერტი | შემუშავებული მინიმუმ 3 ტრენინგ მოდული | |
| | | 6.1.3 ტრენინგების ჩატარება | იანვარი-თებერვალი | მოწვეული ტრენერი/ექსპერტი | ჩატარებული მინიმუმ 2 ტრენინგი | |
| | 6.2. პერსონალის 5%-ის გადამზადება | 6.2.1 გადასამზადებელი პერსონალის შერჩევა | დეკემბერი | ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი | შერჩეული პერსონალის სია (მინიმუმ 5%) | |
| | | 6. 2.2 გადამზადების პროცესის ორგანიზება | იანვარი-მარტი | დირექტორის მოადგილე სასწავლო პროცესის ორგანიზების დარგში | გადამზადების გრაფიკი და სასწავლო მასალები | |
| | | 6. 2.3 გადამზადების შედეგების შეფასება | აპრილი | ხარისხის მართვის მენეჯერი | შეფასების ანგარიში | |
| | 6.3. პროექტების მართვის შიდა გაიდლაინების შემუშავება | 6.3.1 არსებული პრაქტიკის ანალიზი და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა | თებერვალი-მარტი | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი დირექტორის მოადგილე სასწავლო პროცესის ორგანიზების დარგში | ანგარიში | |
| | | 6.3.2 გაიდლაინების პირველადი ვერსიის შემუშავება | აპრილი-მაისი | ხარისხის მართვის მენეჯერი საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | გაიდლაინების პროექტი | |
| | | 6.3.3 გაიდლაინების განხილვა პერსონალთან და საბოლოო ვერსიის დამტკიცება | ივნისი-ივლისი | დირექტორი | დამტკიცებული გაიდლაინები | |
| 7. გამოცდილების გაზიარება ქვეყანაში მოქმედი სხვა კოლეჯებისთვის | 7.1. გაზიარების სტრატეგიის შემუშავება | 7.1.1 არსებული გამოცდილების და რესურსების ანალიზი | ოქტომბერი-ნოემბერი | ხარისხის მართვის მენეჯერი საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | ანალიზის დოკუმენტი | |
| | | 7. 1.2 სამიზნე აუდიტორიის და | ნოემბერი-დეკემბერი | საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი | იდენტიფიცირებული მინიმუმ 3 მეთოდი | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | გაზიარების მეთოდების იდენტიფიცირება | | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | | |
| | | 7. 1.3 გაზიარების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება | დეკემბერი-იანვარი | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი დირექტორი | დამტკიცებული სტრატეგიის დოკუმენტი | |
| | 7. 2. პარტნიორობა სულ მცირე 3 ადგილობრივ კოლეჯთან | 7. 2.1 პოტენციური პარტნიორი კოლეჯების იდენტიფიცირება და კონტაქტი | იანვარი-თებერვალი | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | შედგენილი პოტენციური პარტნიორების სია (მინიმუმ 6 კოლეჯი) | |
| | | 7. 2.2 პარტნიორობის მემორანდუმები მომზადება და გაფორმება | მარტი-აპრილი | იურისტი | გაფორმებული მინიმუმ 3 მემორანდუმი | |
| | | 7.2.3 პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შემუშავება | აპრილი-მაისი | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | შემუშავებული სამოქმედო გეგმა თითოეულ პარტნიორისთვის | |
| | 7. 3. ყოველკვარტალური ონლაინ სემინარების დაწყება | 7.3.1 სემინარების თემატიკის და ფორმატის განსაზღვრა | თებერვალი-მარტი | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი ხარისხის მართვის მენეჯერი | შემუშავებული სემინარების გეგმა მინიმუმ 1 წლისთვის | |
| | | 7. 3.2 ონლაინ პლატფორმის შერჩევა და ტექნიკური მომზადება | მარტი-აპრილი | IT მენეჯერი | შერჩეული და გამართული ონლაინ პლატფორმა | |
| | | 7. 3.3 პირველი ონლაინ სემინარის ჩატარება | მაისი | საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორობის განვითარების მენეჯერი | ჩატარებული პირველი სემინარი, მონაწილეთა სია და უკუკავშირი | |